№103 ორშაბათი
28 დეკემბერი 2015 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

# გურია NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

## დამდეგ ახალ წელს, შობა-კალანდას ვულოცავ სრულიად საქართველოს, ჩემს გურიას!



2016 წელს თითოეული თქვენგანის ოჯახში სიკეთე და ულევი სიხარული მოეტანოს!

გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, უკეთესი მომავლის რწმენას!

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ჩემო ძვირფასებო!

*სიყვარულით, გია სალუქვაძე,*
*სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიაში*

## კლინიკა "მამქოლი"

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ დღეგრძელობას, სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას!
გახსოვდეთ, რომ
"მამქოლი"
24 საათის განმავლობაში თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას!





## სრულიად გურიის მოსახლეობას!

გულითადად გილოცავთ
დამდეგ შობა-ახალ წელს!
ჯანმრთელობის, ბედნიერების და წარმატებების წელი ყოფილიყოს ყოველი ოჯახისთვის!
იმედიანი განწყობა, მოყვასის სიყვარული, სილაღე და სიხარული დაგბედებოდეთ!

*პატივისცემით და დიდი სიყვარულით,*
*მერაბ ჭანუყვაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი*





გურია NEWS
სარეკლამო სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!
დაგვიკავშირდით: 577725854




## მთავარი თემა

### "გურია ნიუსის" ექსკლუზივის კვალდაკვალ _ სამთავრობო ცვლილებები გაგრძელდება

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

23 დეკემბერს, დილით, "გურია ნიუსმა" სანდო წყაროზე დაყრდნობით, ექსკლუზიურად გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობას დატოვებდა. როგორც გაირკვა, ამის შესახებ ინფორმაციას არც პარლამენტარების უმრავლესობას და არც მინისტრთა კაბინეტს არ ჰქონდა. ამიტომაც, მთელი დღის განმავლობაში პოლიტიკოსები მუშაობას გვიწუნებდნენ და ჭორების გავრცელებაშიც კი გვდებდნენ ბრალს. თუმცა, მას შემდეგ რაც პრემიერის ადმინისტრაციამ ირაკლი ღარიბაშვილის ბრიფინგი დააანონსა, ვერსიები შეიცვალა და რამდენიმე პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ ამ თემაზე გუნდი მსჯელობდა. თუმცა, დაზუსტებით ვერავინ ვერაფერს ამბობდა. გადადგომის მიზეზებზე არც ირაკლი ღარიბაშვილს უსაუბრია, მიუხედავად იმისა, რომ 23 დეკემბერს, 18 საათზე დაანონსებული განცხადება 20 საათზე გაკეთდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი ისე დატოვა, რომ მოსახლეობისთვის არ აუხსნია, სად და რატომ მიდის. თქვა, მხოლოდ ის, რომ თანამდებობა მარადიული არ არის და ყველა ადამიანს აქვს არჩევნის უფლება.

_ დღემდე თითოეული ჩემი ნაბიჯი გამომდინარეობდა იმ პასუხისმგებლობიდან, რასაც არჩევანი მაკისრებდა - როდესაც ვიღებდი გადაწყვეტილებას, იქნებოდა ეს ოჯახის შექმნის, კარიერის არჩევისა და პოლიტიკაში წასვლის შესახებ, ანუ მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით გავერთიანდით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენი ბრძოლა 2012 წელს ჩვენი ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა, _ ასე დაიწყო ირაკლი ღარიბაშვილმა საგანგებო მიმართვა და მიღწეული წარმატებები მოკლედ მიმოიხილა, მეუღლეს და შვილებს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა და თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება გააჟღერა... 

▶8

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების
შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს
რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები
ინახება ორი კვირის განმავლობაში;
ამ ვადის გასვლის შემდეგ
პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს
სამ ხელნაწერ გვერდზე
ვრცელ მასალას და
შეუკვეთავ წერილებში
ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა რედაქციის
ნებართვის გარეშე
აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

**განცხადებების ფასები**

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _
დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება
შესაბამისი გვერდის ფასის _
400 ლარის მიხედვით.

**რეკლამის ფასები**

**არაპოლიტიკური რეკლამა:**
**1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი**
**(მთლიანი გვერდის ზომაა**
**1000 კვადრატული სანტიმეტრი)**

**პირველ გვერდზე (ფერადი): _**
**1.75 ლარი;**
**მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:**
**_ 0.4 ლარი;**
**ბოლო გვერდზე (ფერადი) _**
**0.70 ლარი;**
**დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.**

**შავ-თეთრი გვერდის ფერადად**
**დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.**

**პოლიტიკური რეკლამის**
**ღირებულება ორმაგია.**

*გაზეთი დაბეჭდილია*
*შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.*
*მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,*
*ტელ: 2343330.*
*ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

**ძვირფასო ოზურგეთლებო,**
**სულითა და გულით გილოცავთ**
**დამდეგ შობა- ახალ წელს!**

მშვიდობის, სიჯანსაღის, სიხარულის,
ხვავისა და ბარაქის მომტანი
ყოფილიყოს 2016 წელი!

*პატივისცემით,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა(ა)იპ*
*სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება*

**ძვირფასო ოზურგეთლებო,**
**გურულებო,ბოხვაურლებო!**
**გილოცავთ დამდეგ ახალ წელს,**
**შობას, კალანდას!**

ღვთის წყალობა
არ მოჰკლებოდეს
თქვენს ოჯახებს!

გაიხარეთ და გამრავლდით!

*პატივისცემით,*
*გოჩა ჭეფხოძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*გამგებლის წარმომადგენელი*
*სოფელ ბოხვაურში*



**ჩოხატაურის მოჭადრაკეთა სახელით**
**ვულოცავ ჩოხატაურელებს**
**დამდეგ შობა-ახალ წელს!**

**2016 წელი ყოფილიყოს ოცნებებისა**
**აღსრულების წელი!**

*საუკეთესო სურვილებით,*
*ნუგზარ მგელაძე,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე*

**სუპერმარკეტი ''ნეპტუნი''**
**გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!**

ეს წელი ყოფილიყოს წარმატებების,
მშვიდობის, ხვავის, ბარაქის, ერთიანობისა და
ბედნიერების მომტანი
თითოეული თქვენგანისთვის!

*ინდმეწარმე ჭანუყვაძე,*
*ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქუჩა*



გურია NEWS
**სარეკლამო სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**
დაგვირეკეთ: 577725854

## სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

### საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
### თავიIII. ინფორმაციის თავისუფლება

### მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

**მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.
2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასაჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

## "გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

## ჩემო გურულებო! ოზურგეთელებო! გილოცავთ შობა-ახალ წელს!



გისურვებთ ბედნიერებას, სითბოს, სიყვარულს,
ხვავსა და ბარაქას, ქვეყნის გამთლიანებას!
ჩვენი მრავალწლიანი თანამშრომლობა
კვლავ გაგრძელდება და
მუდამ თქვენს სამსახურში ვიქნებით!

*პატივისცემით,*
*დავით დარჩია,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*

## ახალ წელს გილოცავთ გურულებო! ჩვენო საყვარელო ოზურგეთელებო!

ოცნებების ახდენისა და
იმედების გამართლების წელი დგება
სრულიად საქართველოსთვის!

გილოცავთ, გეხვევით, გკოცნით, გვიყვარხართ!

ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ
ჩვენი კუთხის ახალი ისტორია!

*პატივისცემით,*
*ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო*

## დამდეგ შობა ახალ წელს გილოცავთ, ოზურგეთელებო!

გისურვებთ მხნეობას, ხვავს, ბარაქას,
ბედნიერ სახეებს,
წარმატებულ და ხვავრიელ წელს!

მუდამ ისმოდეს მრავალჟამიერი
თითოეული თქვენგანის ოჯახიდან და არსოდეს
მოშლოდეს თქვენს ფუძეს იმ ტრადიციის მადლი და
ხიბლი, რასაც კალანდა ჰქვია!

*სიყვარულით და პატივისცემით,*
*ნინო გოგუაძე,*
*ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*

## ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო!



ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის 2016 წელი!

სიხარული და სიყვარული დაგბედებოდეთ!
ღმერთი გფარავდეთ
თქვენ და სრულიად საქართველოს!

გილოცავთ!

*პატივისცემით,*
*დიმიტრი კვერღელიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*



დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ
სრულიად საქართველოს, გურულებს,
ჩემს სურებლებს!

განსაკუთრებით ვულოცავ
სურების ხეობის გადარჩენის
საინიციატივო ჯგუფის წევრებს,
მათ ოჯახებს თბილისში!

უფლის ნებით, ერთად დგომით
ავისრულებთ საუკუნოვან ოცნებას!

*პატივისცემით, ოთარ სოროზანიშვილი,*
*სოფელ ზემო სურების მაჟორიტარი დეპუტატი*
*ჩოხატაურის საკრებულოში*

## დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ქვირფასო გურულებო!



გისურვებთ
ჯანმრთელობას,
ბედნიერებას და
გამრავლებას!

ახალი წელი
სიმშვიდის მომტანი
ყოფილიყოს
თითოეული
თქვენგანისთვის!

*დიდი სიყვარულითა და ერთგულებით,*
*გიორგი ღურჯუმელიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*





სარეკლამო სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გურია NEWS დაგვირეკეთ: 577725854

დაფინანსებული ფართი

# გილოცავთ დამდეგ 2016 წელს!

ახალი წლის შეგებება ძველის გაანალიზებით იწყება.

2015 წელი ჩვენს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებით გამოირჩეოდა. რამდენიმე ოცნების ასრულება მართლაც შევძელით. ჩოხატაურს დღეს მოწესრიგებული აგრარული ბაზარი აქვს. ეს ჩვენი მოქალაქეების ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა იყო.

ჩოხატაურს 24-საათიანი წყალმომარაგება აქვს _ ამაზე თაობები ოცნებობდნენ.

ახალი თეატრის მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და მომავალ წელს დასრულდება.

გასულ წელს 5 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, გარემონტდა საჯარო სკოლები, მოასფალტდა ქუჩები, არაერთ სოფელში ბეტონის მონაკვეთები დაიგო და გარეგანათება მოეწყო. ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, სოფლებში კულტურის სახლების რეაბილიტაცია განხორციელდა, აშენდა ხილის გადამამუშავებელი საწარმო. მალე ახალი სამხატვრო გალერეა გვექნება, რომლის შენებაც დასრულებულია. სრულდება დუმბაძის ქუჩაზე სკვერის მშენებლობა. საერთო ჯამში, 2015 წელს, მცირე და საშუალო მოცულობის 179 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

სტიქიის შედეგად დაზარალებულ 89 ოჯახს ხის მასალა და თუნუქის სახურავი გადაეცა. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 65 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება.

გასულ წელს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოციალური პროგრამების დაფინანსებას. 200 ათასი ლარი ჩვენი თანამოქალაქეებისათვის სამედიცინო ოპერაციების დაფინანსებასა და მედიკამენტების შეძენაზე დაიხარჯა. მთლიანად სოციალური პროგრამების დაფინანსებამ 450 ათასი ლარი შეადგინა. მომავალი წლის ბიუჯეტში ამ მიზნით, დამატებით, 100 ათას ლარს ვითვალისწინებთ. ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტ ჩოხატაურელს დავეხმარებით, განსაკუთრებით მათ, ვისაც სოციალურად დაუცველის სტატუსი მოეხსნა.

გასული წელი ახალგაზრდებთან აქტიური კომუნიკაციის წელი იყო. მათ საინტერესო ინიციატივებს, ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებულ ბავშვებს და შემოქმედებით ჯგუფებს კვლავაც დავაფინანსებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელი გაცილებით მეტია. ჩვენ ამას კარგად ვაცნობიერებთ და იმედი გვაქვს, ერთობლივი ძალისხმევით 2016 წლის გამოწვევებს გავუმკლავდებით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ მოახლოებულ შობა-ახალ წელს!

ჯანმრთელობას, შემოსავალს და ოჯახურ სიმყუდროვეს გისურვებთ ყველას!

***პატივისცემით, ირაკლი კუჭავა,***
***ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი***





**ინოვაციური პრაქტიკის განხორციელებისათვის**
**ჩოხატაური 10 საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა**



**ხილის გადამამუშავებელი საწარმო**



**რეაბილიტირებული აგრარული ბაზარი**



**საბავშვო ბაღის გახსნა სოფელ ერკეთში**



**წყალმომარაგების ახალი სადგური**

## ჩემო კეთილო, მოსიყვარულე, მშრომელო ჩოხატაურელებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

მრავალი სიხარულით
დატვირთული დღე
გაგთენებოდეთ!

მრავალჟამიერ,
თქვენს აღმასვლას!





*პატივისცემით,*
*მაია პაიჭაძე,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
*საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე*



ამ ახალ წელს
ყველას ვუსურვებ,
გვქონდეს
ყველაფერი ის,
რაც არ იყიდება:
სითბო, სიყვარული,
სიმყუდროვე,
მეგობრები,
ჯანმრთელობა,
ხვავი, ბარაქა,
კეთილდღეობა და
უამრავი ბედნიერი
წუთები!

ბედნიერი
ყოფილიყოს
თქვენთვის დამდეგი
ახალი წელი!

*ქეთევან სიხარულიძე,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*საკრებულოს დეპუტატი ბუკისციხიდან*

## ჩემო ჩოხატაურელებო, გურულებო!



გილოცავთ 2016 წლის შემობრძანებას!
უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!
ვიყოთ კანონის მორჩილნი და ყველაფერი კარგად იქნება!

*პატივისცემით,*
*ლია ვადაჭკორია, ნოტარიუსი*

## ძვირფასო ჩოხატაურელებო!

უპირველესად,
უდიდესი მადლობა,
რომ შესაძლებლობა
მოგვეცით ზოტელ ბავშვებს
ბაგა-ბაღი ჰქონოდათ _
ეს დიდი საჩუქარია
საახალწლოდ!

სიხარული, ბედნიერება,
ბავშვთა ჟრიამული
დაგვბედებოდეს
თითოეულ ჩვენგანს,
მთლიანად საქართველოს!



*პატივისცემით,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ ზოტის ბაგა-ბაღის აღმზრდელები*

## გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას!



ჯანმრთელობა,
ხვავი და ბარაქა,
სიხარული და სიყვარული
არ მოგკლებოდეთ თქვენ
და თქვენს ოჯახებს!

მუდამ თქვენს
გვერდით მიგულეთ!

*უდიდესი პატივისცემით,*
*დავით გუდავაძე,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
*სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და*
*ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე*

## ჩემო საყვარელო გურულებო, ოზურგეთელებო! გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!



სითბო, სიყვარული, ღვთის
წყალობა არ მოგკლებოდეთ!

იხარეთ და იბედნიერეთ!

*პატივისცემით,*
*გოჩა აბაშმაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის*
*ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი*

## ჩვენო ჩოხატაურელებო, საყვარელო გოგოლესუბნელებო!

დიდსა და პატარას, ახალგაზრდას და ასაკოვანს _ განურჩევლად ყველას
გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას.
ლხინს, სიხარულს, სიყვარულს ეთამადოს ყველას ოჯახში!

*პატივისცემით,*
*ზურაბ რამიშვილი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი*
*გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში,*
*აკაკი ყაჭეიშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში*



# გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს!

ეს წელი ყოფილიყოს სიკეთის, სიმშვიდის,
ახალი წარმატებების მომტანი
ყველა თქვენგანის, ურეკში მცხოვრები თითოეული ადამიანისთვის!

მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოკლებოდეს
სრულიად საქართველოს!

*პატივისცემით,*
*ბიძინა იმნაიშვილი,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*დაბა ურეკის მაჟორიტარი დეპუტატი*




# ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, მელექედურში მცხოვრებლებო, გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

ხვავს, ბარაქას, სიხარულს,
სიყვარულს და ბედნიერებას
გისურვებთ!

შობის მადლი შეეწიოს
თითოეული თქვენგანის ოჯახს!

*პატივისცემით,*
*გაგა ცხომელიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის*
*წარმომადგენელი სოფელ მელექედურში*

# ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

გისურვებთ ყველა
იმედის გამართლებას,
ჯანმრთელობასა და
ბედნიერებას!

*პატივისცემით,*
*გელა ჭანუყვაძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*გამგეობის ზედამხედველობის*
*სამსახურის უფროსი*



# ჩემს საყვარელ ოზურგეთელებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!

ბედნიერებით სავსე ახალი წლის დილა გაგვთენებოდეს!

სიხარული, სიყვარული ყოფილიყოს
ყველა თქვენგანის თანამდევი
ცხოვრებაში!

*პატივისცემით,*
*ვასილ ხომერიკი,*
*სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის*
*საკოორდინაციო ცენტრის უფროსი*

# ძვირფასო ოზურგეთელებო! გურულებო!

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, კალანდას!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას
და ულევ სიხარულს!

*დიდი სიყვარულით,*
*შალვა კონჯარია,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა(ა)იპ*
*დასუფთავების სამსახურის უფროსი*

# ჩემს საყვარელ დვაბზუს მაცხოვრებლებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!



გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს!

გაიხარეთ!

*პატივისცემით,*
*ვასილ ღლონტი,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ დვაბზუში*

# ჩემო საყვარელო ასკანელებო, ოზურგეთელებო, საქართველოს მოქალაქეებო!

სულითა და გულით გილოცავთ
დამდეგ შობა- ახალ წელს!

ყველასთვის მშვიდობის, სიჯანსაღის, სიხარულის,
ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს
2016 წელი!

*ბადრი ჯაველიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*გამგებლის წარმომადგენელი*
*სოფელ ასკანაში*



## ახალი წლის შემობრძანებას გილოცავ, ჩემო საქართველო!



ქვირფასო მეგობრებო,
მობრძანდით

**რესტორან "ტონუსში"**

და აღნიშნეთ
ეს საოცარი დღე!

ჩვენ სიხარულსა და ზეიმს
გაგიასკეცებთ იშვიათი
მომსახურებითა და
საუცხოო კერძებით!

გვიყვარხართ და გელოდებით!

*ინდმეწარმე ჟუჟუნა ხომერიკი,*
*რესტორანი "ტონუსი"*

## ქვირფასო ოზურგეთელებო, დაბა ურეკის მაცხოვრებლებო, გილოცავთ დამდეგ შობა- ახალ წელს!

მომავალი წელი ჯანმრთელობის,
ბედნიერების, წარმატების წელი
ყოფილიყოს
თითოეული თქვენგანის ოჯახისთვის!

*პატივისცემით,*
*დავით რობაქიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*გამგებლის წარმომადგენელი*
*დაბა ურეკში*



## ჩვენო თვალსაჩინო გოგო-ბიჭებო, მშობლებო, კოლეგებო!



გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

სიმშვიდითა და სიხარულით დატვირთული დღეები დაგვბედებოდეს!

*პატივისცემითა და სიყვარულით,*
*ჩოხატაურის #2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები*

## სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების თანამშრომლები გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!



დაე, 2016 წელი
მზრუნველობამოკლებული
ბავშვის, პენსიონერის
და სოციალურად
შეჭირვებულისთვის
შვებისა და ბედნიერების
მომტანი ყოფილიყოს!

## ერსა და ბერს, დიდსა და პატარას, სრულიად საქართველოს!



გილოცავთ დამდეგ 2016 წელს!
სამშობლოსა და ოჯახის ქლიერება,
ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა დაგებედოთ!
იხარეთ, იმრავლეთ მრავალჟამიერ!

*ლავრენტი ბიგვავა,*
*ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი*

## ახალი წლის შემობრძანებას გილოცავთ, ჩოხატაურელებო!

განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს მეგობრებს,
რომელთა პროფესია განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა _
ჩემო კოლეგებო, მშვიდობიანი გზით გევლოთ,
მადლიერი ადამიანების რიცხვი გაგმრავლებოდეთ!

მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ!

*პატივისცემით,*
*ინდმეწარმე რაფიელ სიხარულიძე*



სარეკლამო სამსახური გილოცავთ
დამდეგ შობა-ახალ წელს!

გურია NEWS

დაგვირეკეთ:
577725854

# "გურია ნიუსის" ექსკლუზივის კვალდაკვალ – სამთავრობო ცვლილებები გაგრძელდება

1▶

ყოფილ პრემიერს არც შემცვლელი დაუსახელებია. თუმცა, იმავე დღეს, "გურია ნიუსს" მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეცვლიდა.

23 დეკემბერს გავრცელებული ეს ინფორმაცია ოფიციალურად 25 დეკემბერს დადასტურდა _ უმრავლესობის დახურულ სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა გიორგი კვირიკაშვილი წარადგინა.

აღნიშნული ინფორმაცია ყოფილმა პრემიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ დაადასტურა და აღნიშნა, რომ ახლა "სახლში დასვენებას აპირებს".

ყოფილმა პრემიერმა მომავალი პრემიერის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ "კოალიციამ პრემიერ-მინისტრობის ძალიან ღირსეული კანდიდატურა შეარჩია":

_ გიორგი არის ჩემი მეგობარი. მინდა წარმატებები ვუსურვო. ჩვენ დიდხანს ვმუშაობდით ერთად, ჯერ კიდევ მანამ, სანამ პოლიტიკაში ერთად მოვიდოდით. მე ვფიქრობ, ძალიან ნაყოფიერი იყო ჩვენი თანამშრომლობა. მინდა წარმატებები ვუსურვო მას და მის გუნდს, _ განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატი გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს. სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მისი სამუშაო გამოცდილება ასე გამოიყურება:

2015 წლის 1 სექტემბრიდან - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; 2013 წლის 26 ივლისიდან - ვიცე-პრემიერი; 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე _ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

2012 წლის მარტი _ 2012 ოქტომბერი _ ამერიკული საკონსულტაციო ფირმა Lenzie Fisher Hendry LLC"-საფინანსო სექტორის და საპენსიო რეფორმის ექსპერტი;

2006 წლის თებერვალი _2011 წლის ოქტომბერი _ სააქციო საზოგადოება "ქართუ ბანკი", გენერალური დირექტორი;

2004-2006 წლები _ პირველი კომერციული ბანკი (ამჟამად "ტაოპრივატბანკი"), აღმასრულებელი მენეჯმენტის კონსულტანტი;

1998 წლები _ "გაერთიანებული ქართული ბანკი", ბიზნესის განვითარებისა და ფილიალების ქსელის მართვის დირექტორი, აქტივ-პასივების მართვის განყოფილების დირექტორის მოადგილე;

1996-1997 წლები _ Trade Invest Bank-ის გენერალური დირექტორის მოადგილე;

1993-1996 წლები _ "გაერთიანებული ქართული ბანკი", საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (საწყისი პოზიცია _ დოკუმენტური სავაჭრო ოპერაციების ოფიცერი).

1999-2004 წლები _ საქართველოს პარლამენტის წევრი (პარლამენტში "მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით მოხვდა), ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, WTO-ს საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

1999 წელი _ სახელმწიფო კანცელარია, ფისკალური, მონეტარული და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე.



გიორგი კვირკაშვილმა 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი მედიცინაში; 1995 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში; 1998 წელს დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი ფინანსებში.

გიორგი კვირიკაშვილს ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

კვირიკაშვილმა უკვე დაანონსა სამთავრობო ცვლილებები. მართალია, მას კონკრეტული დრო და გვარები არ დაუსახელებია, თუმცა, როგორც "გურია ნიუსს" უთხრეს, განახლებულ მთავრობაში ვერ მოხვდებიან ხადური, სანიკიძე, დუმბაძე, ბაქრაძე და სავარაუდოდ წულუკიანიც.

ჩვენი ინფორმაციით მინისტრებთან ერთად თანამდებობების დატოვება მხარის გუბერნატორებსაც მოუწევთ.

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ თუ ახალი პრემიერი გადაწყვეტს, მზადაა თანამდებობაზე დარჩეს:

_ *პრემიერის გადადგომა ნამდვილად არ არის ჩემი შესაფასებელი. რაც შეეხება გეგმებს, ვაგრძელებ ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას. ჩემი დარჩენა _ არდარჩენის საკითხს კი ახალი პრემიერი გადაწყვეტს,* _ გვითხრა სალუქვაძემ.

***_ ბატონო გია, თქვენ იყავით ირაკლი ღარიბაშვილის წარმომადგენელი. ახალ პრემიერთან მუშაობას ფიქრობთ?***

_ *ყველა გუბერნატორი არის პრემიერ მინისტრის წარმომადგენელი რეგიონში.*

***_ კითხვაზე არ გვპასუხობთ. ახალ პრემიერთან ერთად მუშაობა შედის თქვენს გეგმებში?***

_ *თუ ახალი პრემიერი ჩათვლის საჭიროდ, მზად ვარ ვემსახურო ჩემს ხალხს,* _ ამბობს სალუქვაძე.

# მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრებთა განსახლებაზე ადგილობრივი ხელისუფლება იზრუნებს

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

**რამდენიმე დღის წინ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭანჭათში, დაახლოებით, ოთხ ჰექტარ მიწის ფართობზე მეწყერი ჩამოწვა, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა გზის სავალი ნაწილი, რამდენიმე ადგილას ნაპრალი გაჩნდა, ექვსი ოჯახი კი _ მეწყერსაშიშ ზონაში აღმოჩნდა.**



მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით, ჭანჭათში იმყოფებოდნენ **გურიის გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი** და **გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის დასავლეთ რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები.** მათ მეწყერსაშიში ზონის ადგილი მოინახულეს და ვითარებას პირადად გაეცნენ.

**მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის, მაკა სულაბერიძის** ინფორმაციით, გეოლოგები ადგილზე აწარმოებენ კვლევებს, იღებენ კოორდინატებს და საბოლოო დასკვნას უახლოეს დღეებში დადებენ. თუმცა, მანამდე აღნიშნული ოჯახების ბედზე ადგილობრივი ხელისუფლება იზრუნებს, კერძოდ, გამგეობის სოციალური სამსახური მათ ქირავნობის პროგრამაში ჩასვამს (სურვილის შესაბამისად).

*"მონაცემები გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტს მიეწოდება და საბოლოო დასკვნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გამოიგზავნება. ამ ეტაპზე სამ ოჯახს ესაჭიროება განსახლება; ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს პრობლემის აღმოსაფხვრელად; უახლოეს დღეებში გამოიყოფა სამი სახლი მოსახლეობის უსაფრთხო ადგილზე გადასაყვანად.*

*გეოლოგების ჩამოსვლამდე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები, რომლებმაც მოსახლეობას შესთავაზეს ოჯახების დატოვება და ქირავნობის პროგრამაში ჩართვა. ადგილზე, ასევე, იმყოფებოდნენ პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც შეადგინეს გაფრთხილების ოქმი, რათა მოსახლეობას საშიში ზონა დროულად დაეტოვებინა. საშიშ ზონაში იმყოფებიან: ოთარ და შოთა ვადაჭკორიების, გაბრიელ წულაძისა და ლევან აბაშიძის ოჯახები",* _ თქვა სულაბერიძემ.

# მთავრობის შემადგენლობა არ შეიცვლება

***(გურია ნიუსი, თბილისი)* _ საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი კვირიკაშვილი** პარლამენტს დასამტკიცებლად უცვლელად წარუდგენს მთავრობის სრულ შემადგენლობას.

_ *საქართველოს პარლამენტს ამ ეტაპზე დასამტკიცებლად უცვლელად წარვუდგენ მთავრობის სრულ შემადგენლობას, გუნდს, რომლის წევრიც პირველი დღიდან ვარ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე კი, წარვადგენ მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურას.*

*პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადების შემთხვევაში, მე მომეცემა საშუალება, უკვე პრემიერ-მინისტრის პოზიციიდან, ღრმად და დეტალურად გავეცნო თითოეული სამინისტროსა და მინისტრის საქმიანობას, მათ სტრატეგიას, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რაც დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ სწორი და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მომცემს.*

*არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს მომავალში მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები განხორციელდება,* _ აღნიშნულია გიორგი კვირიკაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ძვირფასო ლანჩხუთელებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ჯანმრთელობის, ბედნიერების და წარმატებების წელი ყოფილიყოს თქვენი ოჯახებისთვის!

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!



***სიყვარულით,
ქალაქ ლანჩხუთის
ადმინისტრაციული ერთეულის
თანამშრომლები***

დაფინანსებული ფართი

# სკოლამდელი განათლება ქალაქ ოზურგეთში

**ქვეყანა მაშინ დგება რეალური აღმშენებლობის გზაზე, როცა ინვესტიცია განათლებაში იდება. განათლებული და ინტელექტუალური თაობა გარანტია წარმატებული სახელმწიფოსი. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა კი გალავარია შემდგომი განვითარებისა.**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი დაფუძნდა 2014 წლის აგვისტოში, თვითმმართველი ქალაქი-ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის I არჩევნების შემდეგ. დაარსების დღიდან ცენტრი, ქალაქის მერიის მხარდაჭერით, ზრუნავს ცენტრის ფილიალებში (ბაღებში) შესაბამისი გარემოს შექმნისთვის. ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 8 ფილიალი, რომელთაგან 6 სრულად რეაბილიტირებულია, მე-4 ფილიალის სრულ რეაბილიტაციას ქალაქის მერია გეგმავს 2016 წელში.

**ცენტრის დაფუძნების მომენტში ბავშვთა დღიური მენიუს ფასი შეადგენდა 1.10 თეთრს, დღეისთვის 1.60 თეთრს წარმოადგენს. ფილიალები აღსაზრდელებს ემსახურება 3-ჯერადი ბალანსირებული კვებით.**

ცენტრისათვის პრიორიტეტი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხი და უწყვეტობაა. მომავალი თაობის აღზრდისთვის მნიშვნელოვანია აღსაზრდელებში სხვადასხვა უნარების განვითარება, როგორც ფიზიკური, ასევე, გონებრივი თვალსაზრისით, რასაც სწორი მიმართულებით წარმართავს ცენტრი. მიმდინარე წელში, თითქმის, 10000 ლარი დაიხარჯა საკანცელარიო ნივთების (აკვარელი, გუაში, პლომასტერი, საძერწი თიხა, ფანქრები და ა.შ.) შეძენაზე.

**ცენტრისთვის მნიშვნელოვანია ფილიალებში აღსაზრდელებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა**. ბავშვთა რაოდენობა ჯგუფებში, ძირითადად, არ აღემატება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ რაოდენობას (35 ბავშვს). ჯგუფებში სადაც ბავშვთა რაოდენობა 25-ს აღემატება, დაინიშნა დამხმარე თანამშრომლები, რომლებიც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ეხმარებიან ალმზრდელებს.

**2016 წლიდან ქალაქის მერიის მხარდაჭერით იგეგმება ცენტრის ფილიალების თანამშრომლების ერთი ნაწილისათვის ხელფასების მატება.**

2014 წელში ცენტრის 8-ვე ფილიალში ინსპექტირება ჩაატარა სურსათის უვნებლობის სააგენტომ. 2015 წელში სრულად იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები. განახლდა კვების ბლოკი, ჭურჭელი, შეძენილი იქნა სადეზინფექციო საშუალებები. ამ კუთხით დაიხარჯა (50 000) ლარზე მეტი. რაც ითვალისწინებს მცირე სარემონტო სამუშაოებს, ინვენტარისა და ტექნიკის განახლებას. სრულად განახლდა მეოთხე ფილიალის კვების ბლოკი, რის გამოც სააღმზრდელო პროცესი ზემოთ აღნიშნულ ფილიალში 30 ოქტომბერს, დაგვიანებით დაიწყო.

**ცენტრი და ფილიალები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ აღსაზრდელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. წლის განმავლობაში იგეგმება: საახალწლო, სარვამარტო, საგამოშვებო და შემოდგომის ზეიმები.**

ქალაქის მერია მუდმივად ზრუნავს ბავშვების საახალწლო საჩუქრებისათვის. 2015 წელს საახალწლო საჩუქრებისათვის დაიხარჯა 5500 ლარი _1000 ბავშვისათვის.

წარმოუდგენელია საბავშვო ბაღი სათამაშოებისა და საბავშვო მხატვრული ლიტერატურის გარეშე. ამ მიმართულებით 2015 წელში დაიხარჯა 10000 ლარი, წიგნებსა და სათამაშოებს 2016 წლის იანვარში მიიღებენ ფილიალები.

**პირველად საბავშვო ბაღების ისტორიაში, თითოეული ფილიალისათვის ქალაქის მერიის აქტიური მხარდაჭერით მოეწყო მცირე საბავშვო ბიბლიოთეკები, რომლებიც ყოველწლიურად შეივსება ახალი საბავშვო ლიტერატურით.**

ჩვენთვის მნიშვნელოვანი და მეტად აუცილებელი იყო ცენტრის ფილიალებში მომსახურე პერსონალის გადამზადება. ტრენინგები ჩაუტარდა ფილიალების კვების მთლიან ბლოკს (ექთანი, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, მნე) და მუსიკის მასწავლებელს. ასევე, გადამზადება ჩატარდა ჰიგიენის დარგში. წლის ბოლოსთვის დაგეგმილია მეთოდისტების გადამზადება.

**მაღალ დონეზე, შესაბამისი სიხშირით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწმდება სასმელი წყლის ხარისხი. ყოველი თვის ბოლო პარასკევს ცენტრის ყველა ფილიალს უტარდება დეზინფექცია**, სამუშაოებს ასრულებს შპს ''სერვის 2". **მკაცრი კონტროლი მიმდინარეობს კვების ბლოკში. ფილიალებს მიეწოდება სუფთა და 100% ჯანსაღი პროდუქტი. ყოველდღიური მენიუ გათვლილია კალორიულობის, ცილებისა და ცხიმების მიხედვით.**

**ფილიალებში ტარდება 2 სახის მონიტორინგი:** გეგმიური და არაგეგმიური. გეგმიური მონიტორინგი გულისხმობს ფილიალის შემოწმებას თვეში ერთხელ, არაგეგმიური მონიტორინგი კი ტარდება შერჩევისა და ინფორმაციის მიხედვით.

**2015 წლის გაზაფხულზე ცენტრის ყველა ფილიალში სამეურვეო საბჭოები დაფუძნდა. რაც ხელს უწყობს მშობლების აქტიურ ჩართულობას სააღმზრდელო პროცესში.** მშობლებს აქვთ შესაძლებლობა, სამეურვეო საბჭოს წევრების მეშვეობით, დადებითი ან უარყოფითი შეხედულებები წარუდგინონ ცენტრს. შესთავაზონ იდეები და წინადადებები სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობისათვის.

წლის მანძილზე ფილიალებში ეწყობოდა ''ჩაის დღეები'', რაც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს მშობლების მეტ ჩართულობასა და თანამშრომლობას.

**ცენტრმა ერთ-ერთმა პირველმა აამუშავა სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით მომზადდა.** პროგრამის მიზანია ბავშვს განუვითარდეს სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარები. პროგრამა გულისხმობს სრულყოფილ მომზადებას სკოლისთვის. ცენტრის ბალანსზე შეიქმნა წინასასკოლო მზაობის ჯგუფი, რომელშიც 16 აღსაზრდელი ირიცხება და მოსწავლის თანაბარ გარემოში მიმდინარეობს მათი აღზრდა. ჯგუფი აღჭურვილია ყველა იმ ატრიბუტიკით, რაც აუცილებელია პროექტის განხორციელებისათვის. სასკოლო მზაობის პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობაა 30 კვირა, ყოველდღიური საათობრივი დატვირთვის 3 საათი კვების გარეშე.

**ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების დადებითი შეფასება და მშობლების მხრიდან წერილობითი გამოხმაურება ცენტრის მუშაობასთან დაკავშირებით.**


















**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**

## განცხადებები

**ყურადღება!**

ვიბარებ ნებისმიერი წონის ღორებს. უმაღლეს ფასებში.

(593) 223336 _ გელა.
(595) 242327 _ ბექა.

**ყურადღება!**

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას: მაცივარი და ჩაცმა 60 ლარიდან, გამზადებული სასახლეები 180 ლარიდან, სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები.
სრული სერვისის შემთხვევაში სუდარა უფასოდ.

(599) 903501, (579) 231023,

**ყურადღება!**

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით: მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა _ 60 ლარი. საფლავის გამზადება. სასახლე _180 ლარიდან. საჭიროების შემთხვევაში, ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.
ჩოხატაური. ამირან ჭეიშვილი.

(593) 531391, (599) 784506.

## უფასო განცხადებები

### იყიდება

შეშა.ჩოხატაური, აღმაშენებელის ქ.
ტელ: (595) 752729.

საღუმელედ დახერხილი რცხილას და წიფლის შეშა, სახლში მიტანით.
ტელ: (591) 614416.

აკაციის ბოძები.
ზომა და ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 005826.

შიფერი, რუსეთის წარმოების, 40 ცალი. ჩოხატაური, სოფ. ბურნათი.
ტელ: (597)222855, (577) 480000.

მეორადი ავეჯი, საკერავი და სარეცხი მანქანები, საბნები, თეთრეული, ღვინის კასრები, პლასტმასის.
ტელ: (593) 431566.

3-ლიტრიანი მინის ქილები, ძველებური, სხვადასხვა ზომის მეორადი მინები, ხის კარი, ორფრთიანი, ჩარჩოს გარეშე. 3 ცალი კარი გასაშალის (მეორადი), კარგ მდგომარეობაში. ხის ფანჯარა. ელექტრო საცხობი.
ჩოხატაური.
ტელ: (574) 086078.

კაკლის ხის გასაშლელი მაგიდა, 15-ადგილიანი. გერმანული ხალიჩა 2/3-ზე. წიგნის თარო, 2 ცალი, დასაშლელი ავტოფარეხი, თუნუქის სახურავით, რკინის კარით. ტელ: (599) 202521.

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (595) 536794.

2 კბმ. წაბლის ხის, დახერხილი, ხმელი მასალა, სხვადასხვა ზომის.
ტელ: (568) 880511, გურამი.

2 ცალი, 400-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული, სამი 300-ლიტრიანი, 2 ცალი ტონიანი კასრები და საწნახელი. ღვინო "ცოლიკაური", ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა 100 მ. 28-იანი, 100 მ. 25-იანი და 50 მ. 32-იანი მილები. წისქვილი, 60-იანი ქვით, სრული კომპლექტი.
ტელ: (551) 328714.

სასიმინდე, "კუხნა", გამოდგება ძროხის ბინად. კარგ მდგომარეობაში.
ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 134236.

კედელი ("სტენკა"), მეორადი. საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ: (551) 121139.

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში (კანადური).
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 121139.

"ზიმფერის" ფირმის ელექტროღუმელი.
ტელ: (595) 185715.

რუსეთის არმატურა, 22-იანი, 186 ცალი, 2.5 მ-იანები.
ტელ: (568) 809690.

აკაციის ბოძი, 100 ცალი. 2.2 მ-იანები.
ტელ: (595) 478498.

წისქვილი, ფაზანოლიანი, 62 სმ-იანი ქვით. ტელ: (599) 376292.

ბავშვის ლოგინი, მრავალფუნქციური, სარწეველით, ლეიბით, მატრასით, 6 დიდი უჯრით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი.
ტელ: (551) 086577.

გაზის გამათბობელი. რკინის ბატარეიები სხვადასხვა ზომის. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 776855, (557) 233896.

გერმანული ხარისხის "ლამინირებული იატაკი", 9 კვმ. ფასი 120 ლარი.
ტელ: (551) 086577.

XBOX, ახალი, 12 ცალი თავისი დისკებით (ორიგინალი).
ფასი 650 ლარი. ტელ: (551) 086577.

ბამბუკის მესერი.
ჩოხატაური.
ტელ: (599) 128311, (790) 310804.

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში. ტელ: (593) 588400.

რკინის კარი, ხის კარ-ფანჯარა, რკინის ჭიშკარი, დიდი ზომის, ერთი ცალი.
ტელ: (571) 161958.

ჩოხატაურში, გუთური-ჩაისუბნის საზღვართან, 2-სართულიანი ქვის სახლი, ბუნებრივი აირით.
ტელ: (595) 612975, (593) 374036.

2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით. ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა. ტელ: (599) 328153, ლილი.

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით (სველი წერტილი აივანზე), სარდაფით (სურვილის შემთხვევაში ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით).
ტელ: (591) 002611, (591) 333867, (568) 449982.

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე.
ტელ: (595) 948148.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, ხის სახლი, 2-ოთახით, დამხმარე ნაგებობებით, 0.8 ჰა მიწის ნაკვეთით.
ტელ: (558) 108449.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით.
ტელ: (568) 612438.

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21, კინოთეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (514) 415353.

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, ბელეტაჟი სახლი.
ტელ: (598) 284418.

2-სართულიანი სახლი, 10/10-ზე, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთი, 2000 კვმ. ტყით, მანდარინის, კივის, ფეიხოას, ლიმონის, თხილის ბაღებით, ეზო რკინის მესერითაა შემოღობილი. რკინის შველერი 6,4 მ. უჟანგი რკინის ავზი, 120-ლიტრიანი.
ჩოხატაური, სოფ. ჩაისუბანი (სოფლის ცენტრში). ტელ: (599) 141703, (599) 179979.

2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი, ბუნებრივი აირით.
ჩოხატაური, სოფ. ახალშენი.
ტელ: (591) 287441.

ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზართან, უნივერმაღის გევრდით, 45 კვმ. ფართის შენობა. ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურში, ყოფილ სახანძროსთან, 50 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურში, სასამართლოს შენობასთან ახლოს, სახლი.
ტელ: (558) 447300.

დაბა ჩოხატაურში, ფიროსმანის 3-ში, კაპიტალური სახლი, 4 საძინებლით, დიდი მისაღები ოთახით, კორიდორული სისტემით, გაზის და წყლის შეყვანის პერსპექტივით (მიყვანილია ეზომდე) 1700 კვმ. მიწის ნაკვეთით.
ტელ: (598) 311824.

6 ჰა მიწის ნაკვეთი, შეღობილი. 1 კვმ. _ 3 ლარი.
ტელ: (599) 067400.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, 2-სართულიანი სახლი სველი წერტილებით, ბუნებრივი აირით, მიწის ნაკვეთით, ვაზით ("ცოლიკაური"). ფასი შეთანხმებით.
ტელ: (593) 947227.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, სკოლასთან ახლოს, სახლი, დამხმარე ნაგებობებით, ბუნებრივი აირით, წყლით, გაშენებული ეზოთი, 3200 კვმ. მიწის ნაკვეთით.
ტელ: (577) 000603, (577) 148781.

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი“ და ავტომანქანა "უაზი“.
ტელ: (577) 782882.

ავტომანქანა "mersedes benci-E 124" (ე.წ. "ეშკა"), იაპონიიდან ჩამოყვანილი, ქარხნული, მარცხენა საჭით, ორიგინალი, 108 000 კმ. გარბენით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (598) 108118.

ავტომანქანა "ოპელ ექსტრა" სედანი, ძრავი, 1.6 ბენზინზე, 1998 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (551) 175338, დოდო.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100".
ტელ: (558) 447300.

ავტომანქანა "ოპელ ასტრა", ფურგუნი, 1996 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ელექტროშუშებით, კონდიციონერით, ABS, ჰიდრავლიკა, 1.6-იანი ძრავით.
ტელ: (598) 808908, გიორგი.

ავტომანქანა "მერსედესი 190", მუშა მდგომარეობაში, გაზზე. ფასი 1200 ლარი.
ტელ: (599) 020728.

ფუტკრის ოჯახები. ტელ: (593) 112008.

12 ოჯახი ფუტკარი.ტელ: (551) 328714.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი.
ტელ: (551) 175338, დოდო.

ღვინო "ცოლიკაური", 400 ლიტრი.
ტელ: (574) 053485.

18-22 კგ-იანი ბურვაკები.
ტელ: (593) 356757.

"ცოლიკაურის", "ციცკას" და "ჩხავერის" ნერგები. ტელ: (599) 287073.
კივის ნერგები. ტელ: (558) 976064.

მაკე ძროხა, მეორე ხბოობა. ფასი შეთანხმებით. ტელ: (599) 414030.

3 წლის და 5 თვის მაკე ფური და 2 წლის ფური. ტელ: (555) 350189, (593) 309320,

უშობელი,150 კგ-იანი. 2-ტონიანი ნავთის ავზი. ტელ: (577) 926243.

კარგი ჯიშის ძროხა, 6 თვის მაკე, მეორე ხბოობა, 8 ლიტრი წველადობის, 9 თვის მოზვერი ხბოთი. შეიძლება გაიყიდოს ცალცალკეც. ტელ: (599) 607585.

90 კგ-მდე ღორი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (568) 830104, (790) 428717.

გოჭები. ტელ: (551) 098086.

ნაზარდები, 40-დან 45 კგ-მდე.
ტელ: (551) 148301.

### ქირავდება!

ჩოხატაურში, ცენტრალურ ადგილზე, 9 აპრილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის ნაწილი. ტელ: (593) 715174.

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი. ტელ: (577) 957903.

ჩოხატაურში, დუმბაძის 25-ში (ყოფილი სტამბა), ფართი პირველ სართულზე.
ტელ: (551) 175092, (593) 589993.

### შევიძენ!

ან იჯარით ავიღებ 10 ჰექტარამდე მიწის ფართობს. ტელ: (593) 116012, (557) 246902.

კომერციულ ფართს ჩოხატაურის ცენტრში. ტელ: (593) 909343.

აკაციის ბოძს, 200 ცალს. ტელ: (599) 166389.

მეორად ჭიშკარს. ტელ: (591) 702930.

### ყურადღება!

მესაჭიროება ხელოსანი, პირველი სართულის ჭერის გასამზადებლად და გასალაქად. ტელ: (593) 755485.

**უფასო განცხადების ტალონი №103**

------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------

ტელეფონი: ------------------------------------------------------------

მხოლოდ ჩვენთან. "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისში.
ბანერების, სტიკერების. ბუკლეტების. ჟურნალების, აფიშების. მოსაწვევების. სავიზიტო ბარათების და სხვა მრავალი პოლიგრაფიული ნაწარმის ბეჭდვა იაპონური ხარისხით!





დაივიწყეთ დაბალი ხარისხის პროდუქცია და იგივე ფასში დაბეჭდეთ ჩვენთან!

მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის 25
ტელეფონი: 551373636; 577625007

სამრეკლო რუბრიკას უძღვება დავით ჯიბლაძე

# კვირის საეკლესიო კალენდარი

**28 დეკემბერი** _ წმიდათა მამამთავართა კვირიაკე. ხსენება მღვდელმოწამისა ელევთერისა და დედისა მისისა მოწამისა ანთიასი და მოწამისა კორივი ეპარქოსისა (2); ღირსისა პავლე ლატრიელისა (955);

**29 დეკემბერი** _ ხსენება წინასწარმეტყველისა ანგეასი (500 წ. ქრისტეს წინ); მოწამისა მამისა მარინისა (3); მოდესტისა, იერუსალიმელი პატრიარქისა (634); ნეტარისა თეოფანია დედოფლისა (893);

**30 დეკემბერი** _ ხსენება წინასწარმეტყველისა დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი და მისაილისა (600 წ. ქრისტეს შობამდე); ღირსისა დანიელ აღმსარებელისა, ბერობაში სტეფანესი (10);

**31 დეკემბერი** _ ხსენება მოწამეთა სებასტიანე სვინკლიტიკოპსისა და მეგობართა მისთა: ნიკოსტრატესი, ცოლისა მისისა ზოესი, კასტორისა, მარკელინ და მარკოზ დიაკონთა და სხვათა (287);

**1 იანვარი** _ ხსენება ღირსისა გიორგი მწერლისა და ძმისა მისისა საბასი, ხახულელთა (11); მოწამისა ბონიფანტესი (290); მოწამეთა: ელიასი, პროვოსი და არისისა, მეგვიპტელთა (308);

**2 იანვარი** _ წინადღესასწაული ქრისტეშობისა. მღვდელმოწამისა ეგნატე ღმერთშემოსილისა (107); მართლისა იოანე კრონშტადტელისა (1908);

**3 იანვარი** _ ხსენება ღირსისა მაკარი მმარხველისა, ხახულის მონასტრის წინამძღვრისა (1035); მოწამისა იულიანასი და მისთანა 500-თა მამათა და 130-თა დედათა ნიკომიდიას წამებულთა (304);



# ყველაზე ძვირფასი მემკვიდრეობა

ადამიანი თავის შთამომავლობას მატერიალურ ფასეულობებთან ერთად არამატერიალურსაც გადასცემს _ იქნება ეს ღვთიური მადლი, რომელიც უფლისთვის სათნოდ მცხოვრები ქრისტიანების შთამომავლობაზე გადადის, უფლისავე ნებითა და წყალობით, და მოუნანიებელი ცოდვები, რომლებიც უღირსი წინაპრების გამო ატყდება თავს ადამიანებს.

უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქადაგებებში არაერთხელ აღნიშნავს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სიმდიდრე, რომელიც ადამიანმა თავის შთამომავლობას შეიძლება დაუტოვოს, არის კეთილი საქმეები, სწორედ ის არამატერიალური სიმდიდრე, რომლებიც მათ გაცილებით მეტად წაადგებათ, ვიდრე კაცმა არ იცის, რა გზით დაგროვილი დოვლათი. აი, ამონარიდი მისი ერთ-ერთი ქადაგებიდან: "ადამიანის ცხოვრება გამოცდაა და ყველაზე კარგად მას ის აბარებს, ვინც სიკეთეს თესავს... თუ დაუკვირდებით წმიდანთა ცხოვრებას, ძალიან ხშირად ვხედავთ, რომ წმიდანები კეთილმორწმუნე ოჯახებიდან იყვნენ. მიღებული მემკვიდრეობა იოლს ხდიდა მათთვის უფლის გზაზე დადგომას და სიწმინდის მოპოვებას".



აი, რა არის ყველაზე ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც ადამიანმა საკუთარ შვილებს შეიძლება დაუტოვოს.როდესაც ადამიანები მომხვეჭელობითა და უწესო გზით ნაშოვნ სიმდიდრეს შთამომავლობას უტოვებენ, ფიქრობენ, რომ ამით დიდ სიკეთეს შვრებიან, სინამდვილეში სრულიად სხვაგვარად არის. ადამიანი იღებს სიმდიდრეს წინაპრისაგან, რომელიც, მართალია, თავად არავისთვის წაურთმევია, მაგრამ კარგად იცის, რომ ის უსამართლო გზებით არის მოპოვებული. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, ამის გამო დაისაჯოს.სხვამ წაართვა, მაგრამ შენ ფლობ, შენ სარგებლობ სიკეთით. მაშ, როგორ უნდა მოიქცე? აი, ასე: თუ იცი, ვინ არის დაზარალებული, უნდა დაუბრუნო თავისი კუთვნილი უკან, როგორც ეს ქნა ზაქემ (თანაც მან ზედმეტი დაუბრუნა), ხოლო თუ დაზარალებულის ვინაობა არ იცი, სხვა გზა არსებობს: დაუბრუნე ქონება ღარიბებს და ასეთნაირად გამოასწორებ ბოროტებას.

ხსოვნა

## ლევან და ლაშა ხაბეიშვილები





ცრემლიანი თვალებით გადავფურცლე კალენდარი და ზედ 25 დეკემბერი გამოჩნდა, შენ ხომ ახლა 28 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო ლევან. რომ არა ის ავბედითი დღე, რომელმაც შორეულ როსტოვში შეიწირა შენი და ჩემი ძვირფასი ნათლიას, ლაშას ლამაზი სიცოცხლე.

არაფერია სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. შეუშრობელი ცრემლებით თავდახრილი ვხვდები თქვენს მშობლებს. რომელთაც მინდა ნუგეში ვუთხრა, სიყვარული და სითბო არ მოვაკლო, რომ დარდი გავუნელო ტკივილადქცეული, შევუმსუბუქო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები, ჩვენ კი გვემახსოვრებით მარად, ვიდრე ქვეყნის აღსასრულემდე...

*თიკო კიკვაძე*

---

ლეილა დოლიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება დემური, ნუნუ ვაჩეიშვილების შვილის

**გოჩას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

---



კუკური კუტუბიძის ოჯახი თანაუგრძნობს ნატო და გია ჭანტურიებს დედისა და სიდედრის ქალბატონი

**ზაირას**

გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ გურგენიძე ოჯახით თანაუგრძნობს დიმიტრი და თამარ გიორგაძეების ოჯახებს მამის

**ჯუმბერ გიორგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ჩხიკვიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გულივერ, მალხაზ თოლორდავების ოჯახებს ძმის

**ანზორის**

გარდაცვალების გამო.

---



კუკური ლომთათიძე ოჯახით თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ნატო, გია ჭანტურიებს ქალბატონი

**ზაირას**

გარდაცვალების გამო

---



ვახტანგ და ტარიელ ლომთაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

## გურამ პროკოფის ძე სიხარულიძე



გავიდა 24 წელი, ცხოვრება ძალაუგემურად გაგრძელდა. შენმა შვილებმა ისწავლეს, დაოჯახდნენ და შენს ოჯახში ყველასთვის საოცნებო პატარა გიორგი ნებივრობს. მიუხედავად ყველაფრისა შენი მეუღლისა და დედმამიშვილების გულიდან ამოგლეჯილი ნაწილი ვერაფერმა შეავსო. შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ, თუმცა, მაქაც ბევრი საყვარელი ადამიანია. ველარ ვწერ ცრემლები ასველებს სიტყვებს, ვინც გიცნობდა ყველამ იცის ვინ და როგორი კაცი იყავი. გვჯერა, ნათელში იქნები.

*ნუნუ*

---



გიორგი ბერაძე ოჯახით გულისტკივილით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახს.

---

ვასიკო მათითაიშვილის ოჯახი თანაუგრძნობს ნატო, გია ჭანტურიებს დედისა და სიდედრის გარდაცვალების გამო.

---



თამაზ ანთიძე მეუღლით, შვილებით, შვილიშვილებით თანაუგრძნობს სერგო აბუსერიძის ოჯახს შესანიშნავი პედაგოგის

**ლუბა აბუსერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნათელა ბენდელიანი ოჯახით, მწუხარებით იუწყება მეგობრისა და კოლეგის, მერი ბიგანიშვილის შვილის

**ნოდარის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს.

---



ანზორ აბუსერიძე ოჯახით იუწყება

**ლუბა ხიზანეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---

ლამარა მამალაძე იუწყება თავისი მასწავლებლის, ქალბატონი

**ნინო ყაჭეიშვილი-მამალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს.

---



ჯემალ ჩანტლაძე ოჯახით იუწყება ქვისლის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## გენო ანთიძის მოგონება



ერთი წელი სრულდება 30 დეკემბერს, ბევრი ვეცადეთ მაგრამ სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. კარგო მამა, მეუღლევ, ბაბუავ, შრომისმოყვარე, გულმართალო, კეთილო ადამიანო. ყველას ეხმარებოდი ჭირში და ლხინში. არასდროს დაგივიწყებს შენი ოჯახი უფალს ვთხოვთ ნათელში გვიმყოფოს შენი შრომით და ავადმყოფობით დაღლილი სული, ვილოცებთ თქვენთვის.

*ოჯახი*

---



თენგიზ, გია, მარინა ცინცაძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძის

**ჯუმბერ გიორგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ შვილების _ თამარის და დიმას ოჯახებს.

---



ომარ ჩხატარაშვილი ოჯახით იუწყება

**ჯუმბერ გიორგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---



ჟორიკო სიმონია ოჯახით იუწყება

**ზაირა ეზიეშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ჭირისუფალს.

---

გოჩა წულაძე ოჯახით იუწყება

**ზაირა ეზიეშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



სერგო გურგენიძე ოჯახით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---



ნაზიკო გიორგაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ჯუმბერ გიორგაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს თამრიკოს, დიმიკოს და ხათუნას მამისა და მამამთილის გარდაცვალების გამო.

---



შოთა გურგენიძე ოჯახით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---



**გიორგი რამიშვილი ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ქალბატონ რუსუდან ბერიშვილს მეუღლის**

**ანზორ თოლორდავას**

**გარდაცვალების გამო.**

## ლამარა კეკელიძის მონატრება

ტკივილითა და მონატრებით გავიდა ერთი წელი, ჩვენო საყვარელო დედავ და ბებიავ. დიდ ტკივილს უჩუმრად ატარებდი თამაზის და ავთანდილის დაკარგვის გამო. ვერაფერი ავსებს იმ სიცარიელეს შენი წასვლით რომ დამიტოვე. ხშირად გაგიხსენებთ და არასოდეს დავივიწყებთ თქვენს ლამაზ სულებს. უფალს ებარებოდეთ, ჩვენო ძვირფასებო!

*შენი იათამზე ოჯახით*

---



ტარიელ მიქაშავიძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილებს ძმის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.

---



ზორბეგ, ლაშა ჟღენტები ოჯახით თანაუგრძნობენ თოლორდავების დიდ ოჯახს

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში გიმყოფოთ მისი სული.

---

ხევის სკოლა იუწყება ყოფილი პედაგოგის

**ნინო ყაჭეიშვილი-მამალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის შვილებს, შვილიშვილებს და ახლობლებს.

---



ზურაბ ჯინჭარაძე ოჯახით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---



ძმისშვილი დათო გიორგაძე, რძალი ნატო მამალაძე ოჯახით იუწყებიან

**ჯუმბერ გიორგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

გაზეთ **"გურია ნიუსის"** რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს **ჯუმბერ გიორგაძის** გარდაცვალების გამო.

---



შვილები თამარ და დიმიტრი გიორგაძეები, შვილიშვილები ჯუმბერ, ნინო გიორგაძეები, დათო და გიორგი კალანდაძეები, რძლები ხათუნა შარაშიძე, ნაზი ჭუმბაძე, ნინო მუჯირი, ზიტა ორაგველიძე, სიძე დათო კალანდაძე, ძმისშვილები დათო, რუსიკო, ემზარ, პაატა გიორგაძეები, დისშვილები მარინა, გია, თენგიზ ცინცაძეები, შვილთაშვილები თეკლა, ნინი, პეტრე გიორგაძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მძახლები ნუგზარ, მზია შარაშიძეები, ცისანა კალანდაძე იუწყებიან

**ჯუმბერ გიორგაძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: ორშაბათს, 28 XII, 17 საათზე.

დაკრძალვა: სამშაბათს, 15 საათზე.

ჩოხატაური, სოფელი გუთური.

---



ვახტანგ გაჩეჩილაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოსეფაიშვილების ოჯახს გამორჩეული ადამიანის, საუკეთესო ოჯახის თავკაცის და მეგობრის

**ნოდარ ოსეფაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



დათო, გელა ვაჩეიშვილები ოჯახებით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**გოჩას**

გარდაცვალების გამო.

---



ზაირა ვაჩეიშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**გოჩა ვაჩეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



გოგი, დონარა, რამაზ უჯმაჯურიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.




# ჯაბა კანკავა: არ მომწონდა ჩვენი თამაში მაშინაც კი, როცა ვიგებდით

**საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა თბილისშია. ის სეზონის პირველ ნახევარში თითქმის შეუცვლელი ფეხბურთელი იყო ფრანგული "რეიმსისთვის", რომელსაც ახლა საფრანგეთის 20-გუნდიან ლიგა 1-ში მე-17 ადგილი უჭირავს. კანკავა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და გულია. მის გარჯაზე დიდადაა დამოკიდებული ეროვნული გუნდის წარმატება.**



***_ ჯაბა, როგორ შეაფასებთ სეზონის პირველ ნახევარს პირადად თქვენთვის და "რეიმსისათვის"?***

*_ მთლიანობაში თუ ავიღებთ, საკლუბო თვალსაზრისით, ვერ ვიქნები კმაყოფილი და ეს, ისევ და ისევ, "რეიმსის" სატურნირო პოზიციის გამო. პირადად ჩემთვის, სეზონის პირველი ნახევარი ახალ ჩემპიონატთან, ახალ გუნდთან ადაპტაციის პერიოდი იყო, რომელმაც კარგად ჩაიარა. სისტემატურად ვიყავი გუნდის ძირითადში...*

***_ "რეიმსმა" ძალიან კარგად დაიწყო საფრანგეთის ჩემპიონატი. რა გახდა ამის შემდეგ გუნდის ჩავარდნის მიზეზი? ტრავმები ხომ არა?***

*_ ძირითად მიზეზად მე მაინც ტრავმებს დავასახელებდი. რა თქმა უნდა, ძნელია, როცა ფეხბურთელები გაკლდებიან. კარგად დავიწყეთ და მერე ამას ჩავარდნა მოჰყვა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ თუნდაც იმ ჩავარდნის პერიოდში "რეიმსის" თამაშის ხარისხი ცუდი იყო. წავაგეთ რამდენიმე ისეთი მატჩი, რომელშიც არ ვიმსახურებდით მარცხს. ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. სეზონის პირველ ნახევარში დაშვებული შეცდომები მეორე ნაწილში უნდა გამოვასწოროთ.*

***_ როგორი გუნდია "რეიმსი"? როგორია მისი "შიდა სამზარეულო"?***

*_ ძალიან მეგობრული გუნდია, კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ურთიერთობები გუნდის შიგნით შესანიშნავია.*

***_ როგორი სპეციალისტია "რეიმსის" დამრიგებელი ოლივიე გეგანი? როგორ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას?***

*_ ის მებრძოლი ადამიანია. ყოველთვის ბრძოლის ჟინითაა დამუხტული. ჩვენი გუნდიც ყოველთვის ასეთ ფეხბურთს თამაშობს.*

***_ შეიძლება ითქვას, რომ "რეიმსთან" ადაპტაცია ბოლომდე გაიარეთ?***

*_ კი, თავს კარგად ვგრძნობ. გვერდზე მკითხეთ და მინდა, მას დიდი მადლობა გადავუხადო. ყველანაირად გვერდში მიდგას. ფრანგულ ენას კარგად რომ ვისწავლი, მერე კიდევ უფრო თავისუფლად ვიქნები.*

***_ საინტერესოა საფრანგეთის ლიგა 1-ის თქვენეული შეფასება. როგორ პირველობას ელოდით და რა დაგხვდათ?***

*_ საფრანგეთის ჩემპიონატი ძალიან საინტერესო, მაღალი დონის შეჯიბრებაა. უაღრესად არაპროგნოზირებადი პირველობაა. ვერ იტყვი, ვინ ვის მოუგებს და ვინ ვისთან წააგებს. შეიძლება, რომელიმე გუნდმა 40 ქულა მოაგროვოს და მაინც გავარდეს.*

***_ "პარი სენ ჟერმენი" და დანარჩენები, ალბათ, სწორედ ასე შეგვიძლია დავყოთ ფრანგული პირველობა. თქვენ უკვე ითამაშეთ პარიზელი ვარსკვლავების წინააღმდეგ. როგორ დაახასიათებდით მათ?***

*_ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ბევრი ვარსკვლავის წინააღმდეგ მითამაშია, მაგრამ "სენ ჟერმენთან" მატჩს მაინც ახლდა განსაკუთრებული შეგრძნება. პარიზული კლუბი სხვა სამყაროა, ის ცალკეა და ცალკე არიან სხვა გუნდები.*

***_ ამას წინათ, თქვენზე თბილი წერილი დაიბეჭდა ფრანგულ პრესაში. წერდნენ, კანკავა ისე გულიანად თამაშობს, მის მიერ მიღებულ ყვითელ ბარათებს გამართლებას ვუძებნითო...***

*_ თავი არასოდეს დამიზოგავს მინდორზე. ეგ არის, იყო მატჩები, რომლებიც ზედმეტი ყვითელი ბარათების გამო გამოვტოვე.*

***_ საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მოვლენებით დატვირთული იყო 2015 წელი. როგორ აფასებთ მას?***

*_ მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ საქართველოს ნაკრების სათავეში ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა. მოვიდა ახალი ხედვითა და იდეებით. გვქონდა კარგი თამაშები და გვქონდა ჩავარდნაც. დაიწყება ახალი სეზონი და ახალი შემართებით შევუდგებით საქმეს. უმნიშვნელოვანესი ტურნირი გველის - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი.*

***_ ჯაბა, რა მოხდა ესტონეთსა და ალბანეთთან შეხვედრებში?***

*_ იცით, საქართველოს ნაკრებს როცა ეხება საქმე, ყველა მატჩი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მაინც არის სხვაობა ამხანაგურ და ოფიციალურ მატჩებს შორის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ესტონეთთან შეხვედრა ავიღოთ _ დარწმუნებული ვარ, ოფიციალური მატჩის დროს გუნდი ასე არ მოდუნდებოდა პირველი გაშვებული გოლის შემდეგ... ალბანეთთან შეხვედრას რაც შეეხება, ჩვენ წავიყვანეთ ანგარიში და ორი ბურთით დავწინაურდით, მაგრამ... გულწრფელად გეტყვით, არ მომწონდა ჩვენი თამაში მაშინაც კი, როცა ვიგებდით.*

***_ საინტერესოა, სანაკრებო მატჩებისთვის განსაკუთრებულად თუ ემზადებით ხოლმე? ფაქტია, რომ სამ-ოთხ დღეში ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვერ მოამზადებს ფეხბურთელს...***

*_ განსაკუთრებული მომზადება არ მჭირდება, რადგან როცა სანაკრებო თამაშები ახლოვდება, თავისით ჩნდება განსაკუთრებული მოტივაცია. ეროვნული გუნდი ყველა ფეხბურთელისთვის მართლაც განსაკუთრებული ადგილია. ასე ვარ მეც.*

***_ ჩვენ ცოტა ხნის წინათ ვეთამაშეთ ალბანეთის ნაკრებს. თუ იმ გუნდმა შეძლო ევროპის ჩემპიონატზე გასვლა, რატომ არ უნდა მოვახერხოთ ეს ჩვენც?***

*_ რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. ალბანეთის ნაკრებს რაც შეეხება, ჩვენ რომ ვეთამაშეთ თბილისში, ის გუნდი აღარ იყო ტირანაში. მთლიანად შეცვლილი შემადგენლობა ჰყავს. ახალი მწვრთნელია, ახალი ფეხბურთელები... ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტაბილურად კარგად ვითამაშოთ. ხომ ვნახეთ, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია კარგად თამაში, თუნდაც შოტლანდიასა და გერმანიასთან შეხვედრები ავიღოთ. აი, ეს პროცესი უნდა გადავზარდოთ სტაბილურობაში.*

***_ რას იტყვით ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე?***

*_ ძალიან თანაბარი, დაბალანსებული ჯგუფია. რა თქმა უნდა, კარგია, რომ აქ არ არის ტოპნაკრები, მაგრამ ყველა გუნდს აქვს ამბიცია. საქართველოს ნაკრები ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ წარმატებით ითამაშოს.*

sportall.ge

---



## ლანა კალანდაძეს!

ჩვიდმეტჯერ მოსულა შენთვის დეკემბერი,
უკვე გაიზარდე, გახდი მშვენიერი,
სწავლა რომ გწყურია, მე ვარ ბედნიერი,
შენით ამაყობდეს მინდა მთელი ერი.
გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ წარმატებებს სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

*შენი დედუნა*

---



## ჩვენო დედიკო!

გილოცავთ 80 წლის შესრულებას. იყავი სულ ტკბილად და ჯანმრთელად შენს შვილებთან და შვილიშვილებთან.

*თამუნა*

---

ჩემს საყვარელ მამას

## ბედრია კორიფაძეს!

ვულოცავ დაბადების დღეს.

*იანა*

---

## ნუგზარ მგელაძეს

ოჯახით ვულოცავ ახალ წელს. გფარავდეს ღმერთი.

*იზოლდა*

---

ჩემი ყოფილი სამსახურის ძვირფას მეგობრებს

ბატონ **ბიჭიკო კუჭავას!** ქალბატონებს _ **დალი ჩხიკვაძეს, ნუნუ ცინცაძეს, დოდო მდინარაძეს, დოდო გურიელიძეს!**

ბატონებს _ **რომული კუკულავას, ვასიკო ბერუჩაშვილს, პავლე მეფარიშვილს** ვულოცავ 2016 წელს. მეგობრებო, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს. თქვენს ოჯახებში მუდამ მხიარულება და სიხარული ყოფილიყოს.

*გურამ დოლიძე, თქვენი მეგობარი დაბლაციხიდან*

---

ჩვენს საყვარელ მეგობარს, ერთგულ და პასუხისმგებლიან ქალბატონს

## ელენე ზაქარეიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული და უამრავი ლამაზი დღე გისურვეთ!

*"ნიუსელები"*

---

## მადლობა

მადლობას ვუხდი რაიონის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას**, გამგებლის მოადგილეს **თამაზ ჯინჭარაძეს** და საკრებულოს თავჯდომარეს **ზაალ მამალაძეს** ჩვენი შვილების საბავშვო ბაღში ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის.

*მადლიერი მშობლები სოფელ სამებიდან*

---

მადლობას ვუხდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ **თეიმურაზ ჟკუასელს,** ბატონ **ვიტალი ტყეშელიაძეს** და მის თანამშრომელს **ნუნუ სირაძეს** თანადგომისა და დახმარებისათვის. მადლობას ვუხდი იმ 1010 ადამიანს, ვინც ჩვენი გულისტკივილი გულთან მიიტანა და გვერდში დაგვიდგა. მრავალ შობა ახალ წელს დასწრებოდით.

*პატივისცემით, ზია შავაძე*

---

მადლობას ვუხდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს **ირაკლი კუჭავას** თანადგომისა და მრავალჯერ დახმარებისთვის. მრავალ შობა-ახალ წელს დასწრებოდეთ.

*პატივისცემით, ზია შავაძე*

---

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას**

ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს და მადლობას ვუხდი ჩემი საცხოვრებელი სახლის სახურავით და მასალით დახმარებისთვის. ღმერთი ფარავდეს თქვენს ოჯახს.

*პატივისცემით, ციური იაშვილი*

---

დიდი მადლობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას** ჩემი ოჯახის დახმარებისთვის. მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით თქვენს ოჯახთან ერთად.

*ვალოდი სიხარულიძის ოჯახი ბუკისციხიდან*

---

## ამინდის პროგნოზი გურიაში




ანა კალანდაძე
8 წლის




ზექა ზექაური
8 წლის




მარი ცუნქერაძე
8 წლის




გიორგი ლომთათიძე
8 წლის

გურიის ახალგაზრდული გაზეთი

21 ქვეყანა

№ 42

28 დეკემბერი, 2015 წელი

# "კრიმანჭულა" მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩემპიონატის გამარჯვებულია



*(21-ს ქვევით)* _ ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მხიარულთა და საზრიანთა კლუბების შემოდგომა-ზამთრის ჩემპიონატის ფინალი გაიმართა. ერთმანეთს სოფელ ქვემო ნატანების გუნდი "კრიმანჭულა", ურეკის "ელანძე" და ძიმითის "კათიონი" დაუპირისპირდნენ. კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი, ნატალია ხომერიკი, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, მაიზერ ცელაძე, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობები _ ანი გოდერძიშვილი და ირაკლი ვადაჭკორია, ასევე, თეატრის ქორეოგრაფი, მარიკა ქვეითაია, გამარჯვებულის სტატუსი ნატანების გუნდს - "კრიმანჭულას" მიანიჭა. მხიარულთა და საზრიანთა კლუბების კონკურს-ფესტივალის ფინალურ შეხვედრაზე საუკეთესო შედეგის მქონე სამ გუნდს სპეციალური პრიზები და სიგელები გადაეცათ, დაჯილდოვდნენ ფესტივალის ნომინანტებიც. კონკურსის სამივე ფინალისტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ ჭანუყვაძის გადაწყვეტილებით, ექსკურსიაზე გაემგზავრება.

ღონისძიების ორგანიზატორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახური და ა(ა)ი.პ. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის" კულტურის განყოფილება. ორგანიზატორების თქმით ჩემპიონატის მიზანი მოზარდთა და ახალგაზრდების გააქტიურება, მათი შემოქმედებითი ნიჭის წარმოჩენა, ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრება და მხიარულთა და საზრიანთა თამაშების პოპულარიზაციაა.

## დამდეგ ახალ წელს, შობა-ქალანდას ვულოცავ სრულიად საქართველოს, ჩემს გურიას!



2016 წელს თითოეული თქვენგანის ოჯახში
სიკეთე და ულევი სიხარული მოეტანოს!
გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, წარმატებებს,
უკეთესი მომავლის რწმენას!

**უფლის წყალობა არ მოგაკლებოდეთ ჩემო, ქართველებო!**

*პატივისცემით, გია სალუქვაძე,*
*სახელმწიფო რწუნებული გურიის მხარეში*

ჩემო ზოტელებო, ჩოხატაურელებო,
ჩემო ქართველებო!
გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



გისურვებთ
მხნეობას, ხვავს,
ბარაქას,
ბედნიერებას!
ოცნებების ახდენისა და
იმედების გამართლების წელი
ყოფილიყოს
თითოეული
თქვენგანისთვის!

მშვიდობა და კეთილდღეობა არ
მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს!



*პატივისცემით, უშანგი ართმელაძე,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ*
*ზოტის მაჟორიტარი დეპუტატი*

**შობა-ახალ წელს გილოცავთ ძვირფასო ჩოხატაურელებო!**

**მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს ჩვენს ოჯახებში!**

**შობის მადლმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!**
**ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ!**

*დიდი სიყვარულით,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია*
*"პატრიოტთა ალიანსი"*

# საახალწლო ნაძვის ხე აინთო

*(21-ს ქვევით)* _ საზეიმო ვითარებაში ტრადიციული ნაძვის ხე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ბეგლარ სიორიძემ გახსნა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოზურგეთელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ნაძვის ხის ანთების საზეიმო ცერემონიალზე ტრადიციული მრავალჟამიერი კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ბიჭუნათა ფოლკლორულმა ანსამბლმა "დილამ" შეასრულა, ასევე, საახალწლო მუსიკალური ნომრები საბავშვო სტუდიის "ბინულის" აღსაზრდელებმა და წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს.



# საბავშვო ბაღს კახა ტუღუშის სახელი მიენიჭა

*(21-ს ქვევით)* _ შრომისუბნის საბავშვო ბაღს აფხაზეთის ომში დაღუპული შრომისუბნელი, 20 წლის ვაჟკაცის, კახა ტუღუშის სახელი მიენიჭა. ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს შრომისუბანში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გოგი ხელაძე, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის უფროსი, ირაკლი შიხიაშვილი და სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ. საბავშვო ბაღში პატარებმა ღონისძიება კახას ხსოვნას მიუძღვნეს. ამის შემდეგ კი სტუმრებმა სოფლის ცენტრში, გმირთა მემორიალთან გადაინაცვლეს, სადაც კულტურის ცენტრთან არსებულმა გია ქურიძის სახელობის ახალგაზრდულმა დასმა მონოსპექტაკლი, "გმირების კვალდაკვალ" წარმოადგინეს.



# "დილა" 2 წლისაა

*(21-ს ქვევით)* _ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლის "დილას" საანგარიშო კონცერტი გაიმართა. ანსამბლი "დილა" ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბაზაზე ორი წელია არსებობს და მას რეგენტი ლაშა ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს. "ბავშვებო, გილოცავთ ორი წლის იუბილეს, მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენ გვერდით ვარ. თქვენი სახით ნამდვილად ნიჭიერი და ღირსეული თაობა იზრდება ჩვენს ქალაქში. მინდა გითხრათ, რომ ქალაქის მერია ყოველთვის თქვენთაა. მზად ვარ დაგეხმაროთ იმ მუსიკალურ ინსტრუმენტთა შეძენაში, რომელიც თქვენ ყველაზე მეტად გესაჭიროებათ", _ აღნიშნა ქალაქის მერმა.



დაფინანსებული ფართი

# კულტურის ცენტრის კიდევ ერთი წარმატებული წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი 8 წელია, კულტურის სამსახურშია. ამ ხნის განმავლობაში მაყურებელს ბევრი სიახლე შევთავაზეთ, ბევრი ანსამბლი შევქმენით, ბევრი ახალი სახე გაგაცანით და რაც ყველაზე მეტად გვეამაყება, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, აღვადგინეთ ჩოხატაურის სახალხო თეატრი.

აღსანიშნავია, რომ სახალხო თეატრმა თეატრალური საზოგადოება წელს ისევ აალაპარაკა.

**გორში გამართულ სახალხო თეატრების ფესტივალზე ჩოხატაურის სახალხო თეატრი წარდგენილი იქნა 4 ნომინაციაში,** მათ შორის საუკეთესო სპექტაკლის ნომინაციაში და ჩვენებურები მშობლიურ რაიონს ჯილდოებით დაუბრუნდნენ.

წლევანდელი წელი გამორჩეული იყო ჩვენი აღსაზრდელების მიერ მიღებული ჯილდოებით.

**14 წლის ლილიანა ლომინეიშვილმა (პედაგოგი ლარისა დოლიძე)** I საერთაშორისო ახალგაზრდულ მუსიკალურ ფესტივალში _ "ბათუმის მარგალიტი 2015" პირველი ადგილი აიღო და რიგის საგზურიც მოიპოვა.

რიგის ფესტივალიდან კი, სადაც 37 ქვეყნის 450 მონაწილე გამოდიოდა, პირველი ადგილით დაბრუნდა.

ფოთში, ხელოვნების III საერთაშორისო ფესტივალზე _ "თეთრი თოლია" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ბავშვთა როკ-ჯგუფმა **"GURIAN NICE KIDS" (ხელმძღვანელი გოჩა გათაშვილი)** გრან-პრი მიიღო.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ბენდის სოლისტი **გიორგი ჯინჭარაძე** როკ მუსიკის საუკეთესო ვოკალისტად აღიარეს, რომელსაც ოქროს მედალი გადაეცა. ამავე ფესტივალზე I ადგილი და ოქროს მედალი მიიღო **ლილიანა ლომინეიშვილმაც.**

**სალოტბარო სტუდიის მოსწავლეებმა** ბავშვთა I ფოლკლორულ ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავეს.

წარმატებული წელი იყოს მოცეკვავეებისთვისაც _ წელს, რესპუბლიკურ ფესტივალში "ბათუმური შემოდგომა 2015" **ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "ილეკრომ" (ხელმძღვანელი ემზარ სანიკიძე)** პირველი აიღო.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული **ანსანმბლი "ნართი" (ხელმძღვანელი ვარდო თოდრია)** განაგრძნობს ხალხის სიყვარულის მოპოვებას. წელს, ფესტივალ "არტგენზე" წარმატებული გამოსვლით მათ მომავალი წლის საგზური დაიმსახურეს და უფრო მეტიც _ 2016 წელს, თბილისში, ენთოგრაფიული მუზეუმის ეზოში "ნართი" ერთსაათიან სოლო კონცერტს გამართავს.

დატვირთული, საინტერესო და გამარჯვებებით დატვირთული წელი ჰქონდა **ანსამბლ "ამაღლებას" (ხელმძღვანელი ლალი კორიფაძე).** ანსამბლის წევრებმა ჩოხატაური არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც ასახელეს. მათ სიმღერებს პოლონეთსა და ლიტვაში ათასობით ადამიანი უსმენდა, მათთან ერთად ფოტოებს იღებდნენ და სხვადასხვა კონცერტებზე პატიჟებდნენ.

ამჟამად "ამაღლება" და ჩვენი ღვაწლმოსილი და დამსახურებული **ანსამბლი "გურია"** დისკის ჩასაწერად ემზადებიან.

წლევანდელი წელი ღონისძიებებითაც იყო დატვირთული _ ადგილობრივი თუ მოწვეული მომღერლების მონაწილეობით ბევრი საღამო შედგა. მათ შორის იყო **ანსამბლ "მადნილის"** 20 წლის იუბილე.

ეს ყველაფერი მცირე ნაწილია იმ აქტივობებისა, რომელსაც კულტურის ცენტრი მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს ხელშეწყობით. გვინდა, თანადგომისთვის მადლობა გადავუხადოთ **მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი კუჭავას, საკრებულოს თავმჯდომარეს ზაალ მამალაძეს, გამგეობის საფინანსო სამსახურს, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას, გამგეობის კულტურის განყოფილებას** _ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩვენი გულშემატკივარია, რომელსაც ჩვენი წარმატება ახარებს!

**მადლობას ვუხდით ჩვენს მაყურებელს, ადამიანებს, რომლებიც აპლოდისმენტებს არასდროს იშურებენ და სტიმულს გვმატებენ!**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი მომავალ წელსაც გაგახარებთ! ჩვენს აღსაზრდელებს უკვე აქვთ მიწვევები სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე!

გვჯერა, ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას! ამ გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარი კი კულტურის სახლის მშენებლობაა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს!

**გილოცავთ**
**დამდეგ შობა-ახალ წელს!**






















დაფინანსებული ფართი

ცოტაც და, 2015 წელს ძველს დავარქმევთ, წარსულს ვუსახსოვრებთ და უკეთესი მერმისის მოლოდინით გადავშლით, როგორც შევსებულ ფურცელს.

ჩოხატაურის ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება მადლობას უხდის ადგილობრივ თვითმმართველობას იმ თანადგომისთვის, რომლის შედეგადაც წელს სამუზეუმო გაერთიანების საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტი _ "სხივი წარსულისა", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, წარმატებით განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, ჩოხატაურელ მოსწავლეებს არაერთი საინტერესო და შთაბეჭდილებებით სავსე დღე ვაჩუქეთ. ღონისძიებები მიეძღვნა ნიკო მარის 150 წლის იუბილეს. გამოიცა საიუბილეო წიგნი აკადემიკოს ნიკო მარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. უნივერსიტეტის სპეციალურ ჯგუფთან ერთად განხორციელდა სამეცნიერო კვლევა ნიკო მარის სახლ-მუზეუმში.

2015 წელს სამუზეუმო გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში ჩატარდა არაერთი შემოქმედებითი, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ღონისძიება. რისთვისაც ადმინისტრაცია მადლობას უხდის გაერთიანების თითოეულ თანამშრომელს და წარმატებებს უსურვებს მათ!








ჩოხატაურის ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება
გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

დაფინანსებული ფართი

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ცენტრმა სპორტის მოყვარულთა სამსახურში განვლილი 2015 წელი, მოსახლეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად, ორგანიზებულად ჩაატარა ისეთი სპორტული ღონისძიებები, როგორებიცაა: მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში, ფუტზალში (იუნკერთა სახელობის ტურნირი), ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ლელობურთში, ფრენბურთში (რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპულ გმირთა სახელობის ტურნირი), ბაზიერობაში, პნევმატური იარაღიდან სროლაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცენტრალურ სტადიონზე (დოღი, ლელობურთი, ბაგირის გადაძალვა, ველორბოლა, სპორტული ცეკვები, ფრენბურთი) და რაც მთავარია, ტრადიციული დოღი კურორტ ბახმაროში, სადაც გაიმართა აგრეთვე ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის _ "**თბილისი** 2015", ეგიდით ჩოხატაურში ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების ცერემონიალში.

წლის მორიგი მიღწევაა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ცენტრალური სტადიონის მოწესრიგების სამუშაოები, სადაც დამონტაჟდა 440 ინდივიდუალური სავარძელი მაყურებლისთვის, მოეწყო სათადარიგო ტრიბუნა, მოწესრიგდა სტადიონთან მისასვლელი, დამონტაჟდა სასმელი წყლის ფანტანი.

ინფრატრუქტურული სამუშაოები კვლავაც გაგრძელდება და ღმერთმა ინებოს ჩოხატაურელთა ოცნების ახდენა სტადიონთან არსებული დაუმთავრებელი სპორტული კომპლექსის მოწყობის შესახებ, რაშიც ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც უკვე სამი წელია ცდილობს პრობლემის მოგვარებას, მხარდამჭერიც გამოუჩნდა ვიცე-პრემიერის, ბატონი კახი კალაძის სახით.

ახალი წელი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ცენტრს, რომელიც მზადაა კვლავაც იყოს თქვენს სამსახურში

.**გულითადად** გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, უფალი იყოს თითოეული თქვენგანის და სრულად საქართველოს მფარველი.

***ულრმესი პატივისცემით, ცენტრის დირექცია***




დაფინანსებული ფართი



დაფინანსებული ფართი

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა და ბევრი აქტივობა განახორციელა.**



### შემოქმედთა წახალისების პროგრამა

2015 წლის 17 თებერვალს დღის ცენტრ "იავნანაში"გაიმართა ლია სტურუას პოეზიის საღამო სახელწოდებით "თითქოს ქაღალდის თვითმფრინავში ზიხარ და ფეხდაფეხ მიყვები იებს..." აღნიშნულ ღონისძიებაზე სამსახურმა აღსაზრდელებს საჩუქრად გადასცა სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთები; 15 მაისს საბიბლიოთეკო დღეების აღსანიშნავად ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება. აღნიშნული ღონისძიების მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ დიდი სამაგიდო ენციკლოპედია "ყველაფერი ყველაფერზე" და "აფორიზმების ენციკლოპედია"; 24 მაისს დაჯილდოვდა "ეტალონის" სამი ფინალისტი ფასიანი საჩუქრებით (ტაბლეტი, მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი). აგრეთვე, დაჯილდოვდა "ეტალონის" მონაწილე რვა მოსწავლე, ფულადი ჯილდოთი, თითოეული 50 ლარით.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს სარეაბილიტაციო დღის ცენტრ "იავნანას" აღსაზრდელებს გადაეცათ 25 შეკვრა ტკბილეული; 4 ივნისს გაიმართა ანსამბლ "მხედრების" სოლო კონცერტი, რომელზეც ანსამბლს მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება. ქორეოგრაფთა კავშირიდან მოწვეულ საპატიო მოცეკვავეებს გადაეცათ საჩუქრები _ ორი "ვეფხისტყაოსანი" და ბიბლია, ასევე, 20 ერთეული სასაჩუქრე ღვინო.

2015 წლის 9 ივნისს ჩოჩხათის სკოლასთან არსებულ სამოქალაქო კლუბს "ანაბეჭდი", რომელმაც გაიმარჯვა პროექტით "ანაბეჭდი წიგნის გადასარჩენად" საჩუქრად გადაეცა წიგნები; 8 ივლისს გაიმართა ქორეოგრაფიული ფესტივალი "კავკასია-2015", აღნიშნული ფესტივალის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის საბავშვო კოლექტივებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

14 დეკემბერს ფულადი ჯილდოთი წახალისდა ლანჩხუთელი წარმატებული ახალგაზრდები გიორგი ორაგველიძე, გიორგი ცინცაძე და დავით გურგენაძე, რომლებმაც 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% გრანტი მოიპოვეს. თითოეულ მათგანს გადაეცა თანხა 1000 ლარის ოდენობით.

### ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა

11 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივ პროექტში "სტუმრად თეატრში". სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება ქ. თბილისში; 18 აპრილს დაბა ურეკის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბატონ მიხეილ გიორგაძის სამუშაო შეხვედრა გურიის რეგიონის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა საქართველოს კულტურის სამინისტროს სტრატეგია "კულტურა _ 2025". სამსახურმა უზრუნველყო კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ტრანსპორტირება დაბა ურეკში; 16 მაისს ჩიბათის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ შეჯიბრში _ "რა, სად, როდის" ფინალურ ტურში. სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება ქ. თბილისში; 24 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტ "ეტალონში". სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება ქ.თბილისში; 30 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ღონისძიება-კონკურს "გალაქტიონობაში", სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში; 21 ივნისს, სოფელ ახალსოფლის სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება სოფ. სხვიტორში.

2015 წლის 27-28 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულმა ანსამბლმა "სამებამ" მონაწილეობა მიიღო თბილისის კომპლექსს "არენაში" ახალგაზრდული კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის ეროვნულ ოლიმპიურ ფესტივალ "ოლიმპიური საქართველო 2015"- ში. სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება ქ. თბილისში; 26 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურულ მუსიკალურ კომპოზიციაში "ხელოვნებაა თავად უკვდავება". სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება ქ. მცხეთაში; 11 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გაიმართა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული დასის წევრებმა და წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია სახელწოდებით _ "გმირების კვალდაკვალ". სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება; 2015 წლის 6 სექტემბერს ქალაქ თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მედიაპროექტ "ეტალონის" 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა. სამსახურმა უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება

### თანადაფინანსების პროგრამა

2015 წლის 14-15 თებერვალს ქალაქ ბათუმში ჩატარდა მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი "საქართველოს ისტორიის ერთი დღე". სამსახურმა უზრუნველყო მათი მონაწილეობა აღნიშნულ ფესტივალზე; 2015 წლის 3 მაისს ქალაქ ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის ქვეყნების ცეკვების ფესტივალი, სადაც მონაწალეობა მიიღეს სპორტული ცეკვების მოცეკვავეებმა თეკლე და ლუკა გოგუაძეებმა. სამსახურმა თანადაფინანსებით უზრუნველყო მათი მონაწილეობა აღნიშნულ ფესტივალში; 27-30 მაისს გაიმართა საგანმანათლებლო პროექტი "ჩვენ და უცხო ენები" სამსახურმა უზრუნველყო ამ ღონისძიების ჩატარება თანადაფინანსებით; 27-28 ივნისს ქ. თბილისში ოლიმპიურ კომპლექსს "არენაში" გაიმართა ახალგაზრდული კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის ეროვნულ ოლიმპიურ ფესტივალი "ოლიმპიური საქართველო _ 2015", სადაც მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "სამებამ". სამსახურმა უზრუნველყო მათი აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობ; 2015 წლის 4 ივნისს დაფინანსდა მედიაპროექტში "ეტალონი" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა; 13 ოქტომბერს დაფინანსდა ლიტერატურული სალონ "მერანი"-ის წევრების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების გაცნობას; 21 ოქტომბერს დაფინანსდა პედაგოგთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ეძღვნებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ პედაგოგებს.

12 აპრილს დაფინანსდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული "ლელოს" ჩატარება.

### საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა

14-15 თებერვალს ქალაქ ბათუმში ჩატარებულ თეატრალურ ფესტივალში: "საქართველოს ისტორიის ერთი დღე", გამარჯვებული კულტურის ცენტრთან არსებულ გია ქურიძის სახელობის ახალგაზრდულ თეატრალურ დასს გადაეცა პრიზები (გიორგი კეკელიძის წიგნი "გურული დღიურები"). ამავე პროგრამიდან მიმდინარე წლის 28-29 მარტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის,გურიის ნარდის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტისა და ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ინიციატივით გამართულ ნარდის ჩემპიონატში საჯარო მოსამსახურეებსა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს შორის გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცა 70 პრიზი _ ნარდი).

მიმდინარე წლის 7 მაისს ქ. ოზურგეთში, სპორტის სასახლეში, გურიის ისტორიაში პირველად ჩატარდა გურიის რეგიონის ჩემპიონატი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ნარდი, მკლავჭიდი, შაში, ჭადრაკი), რომელშიც მონაწილება მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 7 (შვიდმა) შშმ პირმა. გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცა პრიზი.

ამავე პროგრამიდან 7-9 მაისს ლანჩხუთის ჭადრაკის სახლში გამართულ გურიის ყოფილი გუბერნატორის ჟანი კალანდაძის ხსოვნის და რაიონის შვიდგზის ჩემპიონის, მასწავლებელ ზაქრო გორგაძის დაბადების სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივ მემორიალური ტურნირში ჭადრაკში გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. იმედო დუნდუას სახელობის თასის გათამაშებისადმი მიძღვნილ ტურნირში გამარჯვებულ მონაწილეებს სპორტული თასები გადეცათ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებისათვის, 26 მაისს, შეძენილ იქნა თასები, მედლები და სიგელები.

24 ივლისს, ლანჩხუთის ჭადრაკის სახლში ჩატარდა თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის ტურნირი ჭადრაკში მოზარდ და ბავშვთა კატეგორიის მონაწილეებს შორის, 19 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელეში ჩატარდა როინ ჩხარტიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები; 22 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში ჩატარდა შიდა საფეხბურთო ჩემპიონატი ფეხბურთში; 23 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული გენადი კვაჭაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, 23 ოქტომბერს ჩატარდა ლანჩხუთის გურიას გარდაცვლილი ფეხბურთელის, ნიკოლოზ კილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში. ტურნირების მონაწილეებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

2015 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სამსახურმა ფულადი ჯილდოთი წაახალისა ევროპის პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მეორე საპრიზო ადგილის დაკავებისთვის გიორგი შოთაძე და მსოფლიო ჩემპიონატზე კარატე დოში პირველი საპრიზო ადგილის, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მკვიდრი გიორგი კეჭეხმაძე (თითოეული 400 ლარის ოდენობით) – 800 ლარი

ლანჩხუთის საჯარო და საბაზო სკოლებს შორის რაიონული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამის ფარგლებში 2015 წელს განხორციელდა შეჯიბრი სპორტის შემდეგ სახეობებში: 12 თებერვალს ჩატარდა ოლიმპიადა საჯარო და საბაზო სკოლებს შორის ფრენბურთში, ასევე ჩატარდა ოლიმპიადა საბაზო და საჯარო სკოლებს შორის ქართულ ჭიდაობაში 11 მარტს. 5 მაისს ჩატარდა ოლიმპიადა საბაზო და საჯარო სკოლებს შორის მძლეოსნობაში.

4 ივნისს ცურვაში და 8–9 ივნისს მინი–ფეხბურთში ჩატარდა ოლიმპიადა საჯარო და საბაზო სკოლებს შორის. ცალკე აღსანიშნავია ოლიმპიადა მინი–ფეხბურთში საბაზო სკოლებს შორის, რომელიც ჩატარდა 5 ივნისს.

სხვადასხვა ღონისძიებაზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამიდან დაფინანსდა: საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიასა" და "ცხინვალის ცხინვალს" შორის გამართულ მატჩზე ლანჩხუთელი ქომაგების ტრანსპორტირება _ 11 აპრილს; ქართული ფეხბურთის დამსახურებული ოსტატის, ლანჩხუთის "გურიას" ვეტერანი ფეხბურთელის, ბატონი ვახტანგ კოპალეიშვილის დაკრძალვაზე სპორტსმენთა ტრანსპორტირება _14 აპრილს; 7 მაისს ქ. ოზურგეთში, სპორტის სასახლეში გურიის ისტორიაში პირველად ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ნარდი, მკლავჭიდი, შაში, ჭადრაკი) ტურნირი. ტრანსპორტირების პროგრამიდან დაფინანსდა მათი ოზურგეთში ტრანსპორტირება. 2 მაისს გაიმართა საფეხბურთო შეხვედრა ბოლნისის "სიონსა" და ლანჩხუთის "გურიას" შორის, სადაც დაფინანსდა ტრანსპორტირება ახალგაზრდების და გულშემატკივრების. 27 ივლისს ჩატარდა ვეტერანტა მინი-საფეხბურთო ტურნირი ქალაქ ბათუმში, სადაც მიწვეული იყო ლანჩხუთელი ვეტერანები, რომელთა ტრანსპორტირება დაფინანსდა; 11 ოქტომბერს ჩატარდა საფეხბურთო მატჩი თბილისის "ლოკომოტივსა" და ლანჩხუთის "გურიას" შორის, სადაც დაფინანსდა ახალგაზრდა გულშემატკივართა ტრანსპორტირება ქალაქ თბილისში; 18 ოქტომბერს გაიმართა საფეხბურთო შეხვედრა "გორის დილასა" და "ლანჩხუთის გურიას" შორის სადაც დაფინანსდა ტრანსპორტირება ახალგაზრდა გულშემატკივრების.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამიდან დაფინანსდა:

16 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სკვერში ჩატარდა შშმ პირთა უფლებათა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 3 დეკემბერს მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით დაფინანსდა შშმ პირთა ა(ა)იპ "პროგრესის ვექტორის" პროექტი.

ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამიდან დაფინანსდა:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროექტი "უცნობი საქართველო", რომელიც ჩატარდა 22 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით. პროგრამის ძირითადი მიზანი იყო "ახალგაზრდებს შორის ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია"; 9 სექტემბერს ჩატარდა ნარდის მსოფლიო ჩემპიონატი ქალაქ ბათუმში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. აღნიშნულ ღონისძიებაში მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა სამონაწილეო თანხა _ 1210 ლარი გადაიხადა.

როგორც ხედავთ, წლევანდელი წელი საკამოდ ნაყოფიერი იყო. გპირდებით, რომ მომავალი წელი უკეთესი იქნება _ ბევრი სიახლით და ბევრი წარმატებით!

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

*რეკლამის ფასები: პირველი გვერდი – 700 ლარი; ბოლო გვერდი – 350 ლარი;*
*მეორე გვერდი – 200 ლარი; მესამე გვერდი – 300 ლარი.*
*პოლიტიკური რეკლამის ფასი ორმაგია.*
*რეკლამის შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (555) 714-011.*
*გურიის ახალგაზრდული გაზეთის მისამართია:* ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №25.
373 636 (551) ☎ * ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქ. №128, I სართ. 903- 987 (571) ☎
*ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4, 404-182(599) ☎
E-mail: nato.gogelia@facebook.com
რედაქტორი: ნატო გოგელია